თიბისი გადახდები

TBC E-commerce

ელექტრონული კომერციის სწრაფი და უსაფრთხო გადახდის სერვისი, მარტივი ინტეგრაციით და გადახდის მოქნილი მეთოდებით

ახალი გადახდის არხი თქვენი ბიზნესისათვის

- Visa /MasterCard პლასტიკური ბარათებით
- გაუმჯობესებული გაყიდვები
- ინოვაციური გადახდები
- ტრანზაქციის თანხის ჩარიცხვის პერიოდი- 3 სამუშაო დღე
- მარტივი ინტეგრაცია
- მუდმივი ტექნიკური მხარდაჭერა
- ტრანზაქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია- აკონტროლეთ

და მართეთ გაყიდვების არხები TBC E-commerce პორტალიდან



კონტაქტი:
კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
developers@tbcbank.ge

რა არის TBC E-COMMERCE-ის API?

TBC E-commerce-ის API საშუალებას გაძლევთ მომხმარებლებს შესთავაზოთ ონლაინ ანგარიშსწორების მარტივი და მოსახერხებელი გზა.

TBC E-COMMERCE API-ს ინტეგრაცია

იმისათვის, რომ დაიწყოთ თქვენ ვებ გვერდზე TBC E-commerce-ის ინტეგრაცია საჭიროა:

1. **მერჩანტად რეგისტრაცია** - დარეგისტრირდით TBC E-commerce-ის API სისტემაში მერჩანტად;
2. **მერჩანტის დეშბორდი** - მერჩანტის ავტორიზაციის პარამეტრების მიღება - კომპანიის დირექტორის **პირადი** *(ფიზიკური პირების)* ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის სახელით გაიაროთ ავტორიზაცია ლინკზე: **http://ecom.tbcpayments.ge** . მენიუში **"საიტების მართვა"** თქვენი საიტის დეტალებში(ღილაკი "დეტალები") ნახოთ თქვენი **"Client ID"** და **"Client Secret";**
3. **WordPress – Woocommerce-ზე პლაგინის ინსტალაცია** - დააინსტალეთ თქვენს WordPress ონლაინ მაზიის TBC E-commerce პლაგინი და გაწერეთ "Client ID" და "Client Secret";
4. **ტესტირება** - საჭირო პარამეტრების მიღების შემდეგ, სერვისების შემოწმება შეგიძლიათ Postman-იდან. პარამეტრების თქვენ მხარეს გაწერის შემდეგ შეგიძლიათ განახორციელოთ სატესტო ტრანზაქციები. ტესტირება სრულდება რეალურ გარემოზე, რეალური ბარათით. ტესტირებისთვის განხორციელებული ტრანზაქციები შეგიძლიათ გააუქმოთ მერჩანტის დეშბორდზე, ტრანზაქციების დეტალებში არსებული გაუქმების ღილაკით. ტესტირების პერიოდში აქტიურდება 50 ლარიანი ლიმიტი, შესაბამისად ტრანზაქციები უნდა განხორციელდეს მცირე თანხებით რომ არ მოხდეს ლიმიტის გადაჭარბება.
5. **გადასვლა რეალურ გარემოზე** - რეალურ გარემოზე გადასვლის მოთხოვნისთვის ecom.tbcpayments.ge - ზე „საიტების მართვის" ჩანართში დააჭირეთ ღილაკს „რეალური გარემოს გააქტიურება"

მერჩანტად რეგისტრაცია

თუ ჯერ არ ხართ რეგისტრირებული TBC E-commerce -ისმერჩანტად,* რეგისტრაციისთვის, https://tbcpayments.ge/details/ecom/tbc -ზე **“მოითხოვეთ ზარი**” ან შეავსეთ განაცხადი **“ჩაერთე**” ღილაკზე დაჭერით.

ჩვენი წარმომადგენელი დაგიკავშირდებათ და დაგეხმარებათ მერჩანტად რეგისტრაციის პროცედურის გავლაში.

რეგისტრაციის პროცესში თქვენ კომპანიაზე გაიხსნება ახალი ანგარიში და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, შეძლებთ მერჩანტის ონლაინ ადმინისტრაციის პანელზე წვდომას TBC ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის ავტორიზაციით.

თქვენ მერჩანტზე გააქტიურდება ტრანზაქციების სატესტო ლიმიტი, რომლითაც შეგიძლიათ დაიწყოთ ტექნიკური ინტეგრაცია და ტესტირება.



* თუ უკვე ხართ რეგისტრირებული TBC E-commerce -ის სისტემაში შეგიძლიათ გადახვიდეთ შემდეგ ეტაპზე

მერჩანტის დეშბორდი

TBC E-commerce-ში ინტეგრაციისთვის მერჩანტის ავტორიზაციის პარამეტრების სანახავად:

1. თქვენი კომპანიის დირექტორის **პირადი** *(ფიზიკური პირების)* ინტერნეტ ბანკის მომხმარებლით გაიარეთ ავტორიზაცია ლინკზე https://ecom.tbcpayments.ge/

2. აირჩიეთ თქვენი კომპანია;

3. გადადით მენიუზე “საიტების მართვა”;

4. დააჭირეთ ღილაკს “დეტალები”;

5. გამოჩნდება თქვენი ვებ-გვერდის დეტალები. ტექნიკური დეტალების ჩანართში დააჭირეთ “თვალის” ღილაკს, რის შემდეგაც ბანკში რეგისტრირებულ მობილურის ნომერზე გამოგეგზავნებათ ერთჯერადი SMS კოდი. შეიყვანეთ კოდი შესაბამის ფანჯარაში. კოდის სწორად შეყვანის შემდეგ გამოგიჩნდებათ Client Secret ჩანაწერი.

ყურადღება

Client ID და Client Secret პარამეტრები არის TBC E-commerce სისტემაში თქვენი მერჩანტის ავტორიზაციის პარამეტრები. ეს პარამეტრები არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებული პირებისთვის.







WORDPRESS –ის პროგრამული დანამატის ინსტალაცია

1 შედით **Plugins**(დანამატები) გვერდზე და **Add New** (დამატება) ჩანართში ძიების ველში ჩაწერეთ **TBC Chekout**



2 ძიების შედეგში გამოსულ **TBC Chekout for WooCommerce** პლაგინზე დააჭირეთ **ინსტალაციის** ღილაკს.



3 დანამატის ინსტალაციის შემდეგ **გააააქტიურეთ პლაგინი**(Activate).



4 გადადით **WooCommerce>Settings** გვერდზე



WORDPRESS –ის პროგრამული დანამატის ინსტალაცია

5 გადახდების(Payments) ტაბზე ჩართეთ **TBC Chekout** გადახდის მეთოდი და დააჭირეთ **Manage** ღილაკს.



6 **TBC Chekout** პარამეტრების გვერდზე შეავსეთ ტრანზაქციის ვალუტა და მერჩანტის დეშბორდზე მიღებული **Client ID** და **Client Secret** ველები.



WORDPRESS –ის პროგრამული დანამატის ინსტალაცია

7 უკუკავშირის ბმული - CallBack. ბმული რომელზეც ბანკი დაგიბრუნებთ ტრანზაქციის დასრულების შეტყობინებას, რაც ტრანზაქციის შედეგის მყისიერად ასახვას უზრუნველყოფს. დააკოპირეთ უკუკავშირის ბმული თქვენი WooCommerce **TBC Chekout** პლაგინიდან და ჩასვით https://ecom.tbcpayments.ge-ზე „საიტების მართვა“ - ვებ გვერდის პარამეტრების Callback ველში.





ტესტირება

ტესტირების პროცესში აქტიურდება **50 ლარიანი** სატესტო ლიმიტი. შეგიძლიათ მოახდინოთ სატესტო 0.01 ლარის ღირებულების პროდუქტის დამატებით და გადახდის ინიცირებით.

სატესტო გარემოში განხორციელებული ტრანზაქციები შეგიძლიათ გააუქმოთ მერჩანტის დეშბორდზე, ტრანზაქციების დეტალებში არსებული გაუქმების ღილაკით.

გადასვლა რეალურ გარემოზე

ტესტირების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ რეალურ გარემოზე გადასვლის მოთხოვნისთვის ecom.tbcpayments.ge - ზე „საიტების მართვის“ ჩანართში დააჭირეთ ღილაკს „რეალური გარემოს გააქტიურება“



კონტაქტი:
კითხვების შემთხვევაში, მთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
developers@tbcbank.ge